პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 ივლისი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 166 (14466)

ხუთწლედი ვადამდე!

შრომითი ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა დეპუტატი

ეს ეს უფრო ახლოვდება დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავი, სულ უფრო ძლიერდება შრომის ტემპი სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე წარმატებით იბრძვიან ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის.

ამ საერთო პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაში დიდია ახალგაზრდობის და მათ შორის ახალგაზრდა დეპუტატების წვლილი. სხვანაირად არც შეიძლება. საქართველოს სსრ მოსახლეობის ნახევარზე მეტს 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდობა შეადგენს, წარმოებაში დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილიც ახალგაზრდები არიან.

ამიტომ ბუნებრივია, რომ უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ეთმობა დეპუტატებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდა დეპუტატებთან მუშაობას.

ახალგაზრდებთან გაწეული მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრმა ადგილობრივმა საბჭომ, მათმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა — აღმასრულებელმა კომიტეტებმა კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთშოქმედებით მკვეთრად გაუუმჯობესეს ახალგაზრდობასთან მუშაობა. ამის შედეგია ის, რომ დღეისათვის ისინი გაცილებით აქტიურად მონაწილეობენ საბჭოების საქმიანობაში. გაუუმჯობესდა საბჭოების დეპუტატთა რაოდენობრივი და თვისებრივი შემადგენლობაც. მაგალითად, მე-12 მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა შორის 30 წლამდე ასაკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა 10 ათასზე მეტს შეადგენს. 1967 წელთან შედარებით ახალგაზრდობის წარმომადგენლობა რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში თითქმის 4 ათასით, ანუ 6,8 პროცენტით გაიზარდა.

შესაბამისად გადიდდა იმ ახალგაზრდა დეპუტატთა რიცხვიც, რომლებიც პირველად არიან არჩეული საბჭოების ხელმძღვანელ ორგანოებში. ბევრი მათგანი დაწინაურებულია ხელმძღვანელ სამუშაოზე საბჭოებში. 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდა დეპუტატი არჩეულია აღმასკომის თავმჯდომარედ 2, მოადგილედ—4, მდივნად—70 და აღმასკომის წევრად 236. ახლა ეს დეპუტატები წარმატებით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, თავიანთი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ მთელ ახალგაზრდობას აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთო საქმიანობაში.

ცალკეულ საბჭოებში ახალგაზრდობასთან, კერძოდ დეპუტატებთან მუშაობა კიდევ უკეთესად არის დაყენებული. გორის საქალაქო საბჭოში ახალგაზრდა დეპუტატები შეადგენენ საბჭოს მთელი შემადგენლობის 34 პროცენტს, ქალაქ თბილისის შვიდ რაიონულ საბჭოში არჩეულია 296 ახალგაზრდა დეპუტატი, რომელთაგან 256 წარმოების მუშაა. ამავე რაიაღმასკომების შემადგენლობაში არჩეულია 10 ახალგაზრდა მუშა, მაშინ როცა ნინა მოწვევის დროს არჩეული იყო ერთი. ამ მხრივ კარგად არის საქმე ჯუბაზეთის ასსრ, ქალაქ რუსთავის, თელავის, დუშეთის, თიანეთისა და სხვა რაიონების ადგილობრივ საბჭოებში.

ახალგაზრდობის შემადგენლობა მარტო ადგილობრივ ორგანოებში როდი იზრდება. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში 1967 წელს აირჩიეს 52 ახალგაზრდა დეპუტატი. ისინი აქტიურად მონაწილეობენ მუდმივი კომისიების მუშაობაში. ბევრი მათგანი აქტიურად გამოდის სესიებზე, აყენებს ცხოვრების მიერ ნაკარნახებ საკითხებს და აქტიურად იბრძვის მათი განხორციელებისათვის.

მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომელიც განიხილავდა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტს, მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდა 1944 წელს დაბადებული დეპუტატი, კომკავშირელი, რუსთავის ქიმიური კომბინატის ლაბორანტი ალა პოლინეევა. მან, სამინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის წევრმა, ბევრი საყურადღებო საკითხი დააყენა და მოითხოვა მათი უთუოდ გადაწყვეტა. დეპუტატის მოთხოვნები შესაძლებლობის ფარგლებში დაკმაყოფილეს. ასეთი მაგალითი ბევრია. ახალგაზრდა დეპუტატები აქტიურად მონაწილეობენ მუდმივ კომისიებში, საკითხების შესწავლაში, სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე მათს განხილვაში.

ახალგაზრდა დეპუტატების სწავლებისა და მათი როლის ამაღლებისათვის პრაქტიკაში დამკვიდრდა ახალი ფორმები და მეთოდები. რესპუბლიკის ბევრ რაიონში ეწყობა დეპუტატის დღე, სადაც ცხოვრებისეულ საკითხებზე მოხსენებით გამოდიან პასუხისმგებელი ამხანაგები. შემუშავებულია იქნა დეპუტატებთან კოლექტიური მუშაობის ფორმა — შეიქმნა დეპუტატთა ჯგუფები, ეწყობა შეხვედრა-ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე. ყოველივე ეს ახალგაზრდა დეპუტატს საშუალებას აძლევს ღრმად ჩასწვდეს ცხოვრების „ყველა საკითხს, გაერკვეს — რა არის საჭირო და რას მოქცევს ყურადღება.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოების, ახალგაზრდა დეპუტატებთან მუშაობის ეს საინტერესო, პრაქტიკულად გამართლებული ფორმა და მეთოდი ყველა რაიონში არ არის განზოგადებული და გავრცელებული. უკანასკნელ დრამდე მთელ რიგ რაიონულ და საქალაქო საბჭოებში იშვიათად განიხილავდნენ ახალგაზრდა დეპუტატებთან მუშაობის საკითხს.

ახალგაზრდობაში მუშაობის უმნიშვნელოვანესი რგოლი უნდა გახდეს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიები, რომლებიც პირველად შეიქმნა მიმდინარე წლის მარტში მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან. ასეთი კომისიები ჩვენს რესპუბლიკაში უკვე არის 65 რაიონული, 40 საქალაქო, თბილისის 7 რაიონული, 431 სასოფლო და 24 სადაბო საბჭოებთან, რომლებშიც გაერთიანებულია 3.895 დეპუტატი.

ამ კომისიებმა თავიანთი ხანმოკლე არსებობის მანძილზე უკვე გადადგეს გარკვეული ნაბიჯი, შეიძინეს ახალგაზრდობასთან მუშაობის პირველი გამოცდილება. იმედია, რომ ეს კომისიები კიდევ უფრო გააუმჯობესებენ მუშაობას, მათი დახმარებით ახალგაზრდობა აქტიურად მიიღებს მონაწილეობას საბჭოების მუშაობაში, სახალხო მეურნეობის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

ადგილობრივმა საბჭოებმა, მათმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა კომკავშირულ და სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, უნდა შეიმუშაონ ახალგაზრდა დეპუტატებთან და საერთოდ ახალგაზრდობასთან მუშაობის ერთიანი პერსპექტიული გეგმა. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ახალგაზრდა დეპუტატი მუდამ საქმის კურსში იყოს, კარგად ერკვეოდეს იმ პრობლემებში, რომლებიც ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა გადაწყვიტონ რაიონის თუ ქალაქის სამეურნეო-კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დარგში.

ლენინურ ჟურნალისტიკის ვარსკვლავი 100

ქალაბ შეხიბრებისა



ქოგულეთი. („კომუნისტის“ კორ.). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესთვის მზადების დღიურში „კომუნისტური შრომის ვიბეტზე დგანან სოფლის მეურნეობის მშრომელები. მათ ბევრი შესანიშნავი თოსნობა გამოიჩინეს ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. ამ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ჩვენი მეჩაიეებიც.

მიმდინარე წლის 7 იელისს „კომუნისტში“ დაიბეჭდა ჭობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის № 5 ბრიგადის წევრთა წერილი. ბრიგადამ მოუწოდა მეჩაიეობის ბრიგადებს ისეთ მაჩვენებლებს მიაღწიონ, რომ დაიმსახურონ კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდება. ამ ბრიგადამ ვალდებულება იკისრა **გეგმით გათვალისწინებული 200 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრეფოს 10 აგვისტომდე, ხოლო ვალდებულება შეასრულოს აგვისტოს ბოლომდე.**

როგორ მუშაობენ დადებული პირობის შესრულებისათვის ინიციატორი ბრიგადის წევრები? კომუნისტური შრომის ბრიგადას 17 იელისისათვის მოკრეფილი ჰქონდა 135 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, ანუ წლიური გეგმის 68 პროცენტზე მეტი. ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე უკვე მიიღო 3.870 კილოგრამამდე ნედლეული. მთელი მოკრეფილი ნედლეულის 74 პროცენტზე მეტი პირველი ხარისხისაა. ბრიგადამ გადახადა თავის შესაძლებლობებს და გადაწყვიტა ჩაის კრეფის წლიური გეგმა შეასრულოს 8 აგვისტოსათვის ნაცვლად წინათ ნაკისრი 10 აგვისტოსი.

ბრიგადაში გაჩაღებულ შეჯიბრებაში დაწინაურდა **გ. ბოლქვაძე**, რომელმაც წლიურ გეგმით გათვალისწინებულ 3,5 ტონის ნაცვლად უკვე მოკრიფა 3,6 ტონა, **თ. თბილაიშვილმა** მოკრიფა 3.7 ტონა ნაცვლად 3 ტონისა, **თ. ბაბულაძემ** — 2,4 ტონა ნაცვლად 2 ტონისა, ხოლო **ე. თბილაიშვილმა** — 2,5 ტონა ნაცვლად 2 ტონისა.

ხუცუბნის კოლმეურნეობის № 5 კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრთა შეესაბამნენ ინიციატივას მხარი დაუჭირეს ჭობულეთის რაიონის მეჩაიეობის ბრიგადებმა და ცალკეულმა მეჩაიეებმაც, მათ შორის არის ბობოყვათელი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ქეთევან ვოგიტიძე, რომელმაც ვალდებულება იკისრა წელს მოკრიფოს 9 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 6 ტონისა. მან პირობა დადო წლიური გეგმა შეასრულოს 1 აგვისტომდე, ხოლო ვალდებულება—1 სექტემბრამდე. უკვე მოკრეფილი აქვს 5 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

შეჯიბრების ინიციატორთა მხარდამხარ ენერგიულად შრომობენ რაიონის მეჩაიეები. ისინი პირობას იძლევიან, რომ წლიურ გეგმას, რომელიც 23.851 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს, ვადაზე ადრე შეასრულებენ და წლიური გეგმის გადამეტებით მისცემენ სამშობლოს ათასობით ტონა ხარისხოვან ჩაის ნედლეულს. ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვთ ჩაქცის, ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობებისა და ბობოყვათის, ჭაჭუთის, დაგვის, კვირიკეს, ლეღვის, გვარას და სხვა სოფლების მეჩაიეებს.

• • •

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი ქეთევან გოგიტიძე პლანტაციაში.

ფოტო გ. ბოგოსხიანი.

ასე ასრულებენ ვალდებულებას ინიციატორები

უხვი მოსავლის ოსტატები

წალენჯიხა. („საკ. კორ.). დაბა ჯვარის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაში ცხოვრობს და მუშაობს ვეტერანი კოლმეურნე, აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის ოსტატი ნთელა სამუშია. 10 წელზე მეტია ნათელა სამუშია აბრეშუმის პარკის სარეკორდო მოსავალს იღებს. მის შრომას მაღალი შეფასება მისცეს, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

შარშან ნ. სამუშიამ 90 გრამი მერიდან 540 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი ჩააბარა სახელმწიფოს. წელს კი 100 გრამი მერიდან — 550 კილოგრამზე მეტი ნაცვლად 220 კილოგრამისა.

ნათელას მეუღლე არჩილი სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატია. იგი ყოველწლიურად ჰექტარზე 120-130 ცენტნერ სიმინდს იღებს. ცოლ-ქმრის ნათელა და არჩილ სამუშიების მაგალითს კოლმეურნეობის სხვა წევრებიც ბაძავენ. ამის შედეგად ჯვარის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა წალენჯიხის რაიონში.

• • •

სურათზე: ცოლ-ქმარი (მარცხნიდან მარჯვნივ) ნათელა და არჩილ სამუშიები და კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. მანია.

ფოტო თ. შუტკარაძისა.

ზეგეგმითი აბრეშუმის პარკი

● **მახარაძის** რაიონის მეაბრეშუმეებმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის დავალება. სახელმწიფოს მიეყიდა 2.380 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.300 ცენტნერისა. პარკის დამზადება გრძელდება. ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. თოლიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. გოგბრონიძემ.

● **ოჩამჩირელმა** მეაბრეშუმეებმა 15 ივლისისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 725 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 720 ცენტნერისა. ამ საქმეში თავი ისახელეს აგუბედიის, რეკის, აძუბეკის, ბესლახუბის და სხვა კოლმეურნეობებმა. რაიონის მეაბრეშუმეთა გადაწყვეტილებაა სამშობლოს მისცეს 15 ცენტნერი ზეგეგმითი აბრეშუმის პარკი.

● **ცაბრის** რაიონმა 15 ივლისისათვის სახელმწიფოს მიჰყიდა 456 ცენტნერი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი. წლიური გეგმა კი 350 ცენტნერის მიყიდვას ითვალისწინებდა. ეს „კომუნისტის“ რედაქციას შეატყობინეს პარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. სილაბაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. ლურჯუმელიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. ონიანმ.

3. პ. მჟავანაძე შეხვდა

რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებს

18 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. პ. მჟავანაძემ მიიღო რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები, რომლებიც დასრულნენ მოსკოვში საგასტროლო მოგზაურობიდან.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბ. ლორთქიფანიძემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. დვალიშვილმა და საქართველოს კომპარტიის რუსთაველის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ხარებიანმ პ. პ. მჟავანაძეს უამბეს, თუ რა წარმატებით გამოვიდნენ რუსთაველი მსახიობები მოსკოვში, გაიცნეს თეატრის რეპერტუარი და მისი განვითარების პერსპექტივები.

პ. პ. მჟავანაძემ გულითადად მიულოცა თეატრის კოლექტივს წარმატება, მოწონება, რომელიც დიმსახურა მოსკოველ მომთხოვნ მაყურებლებში, დედაქალაქის თეატრალურ საზოგადოებრიობასა და პრესაში.

მსახიობებთან საუბრის დროს ვ. პ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ თეატრი მოწოდებულია ემსახურებოდეს ჩვენი ხალხის კომუნისტურ აღზრდას, მის რეპერტუარში უნდა სჭარბობდეს თანამედროვე თემებზე დაწერილი პიესები, რომლებიც მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომის პათოსს ასახავენ, დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო ამოცანებს, რომლებიც თეატრის წინაშე დგას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

დასასრულ ვ. პ. მჟავანაძემ რუსთაველი თეატრის ახალგაზრდა კოლექტივს უსურვა ახალი შემოქმედებითი წარმატებანი. (საქ. დინ).

ეძღვნება მოძმე ქვეყანას

ჟურნალისტთა პრეს-კონფერენციაზე

შეხვედრა გ. დ. ჯავახიშვილთან

ავსტრია. რესპუბლიკაში მოგზაურობიდან დაბრუნდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი.** იგი ავსტრიაში შვიდ დღეს იყო ვიზიტად ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურის დოქტორ გ. გლაისნერის მიწვევით.

18 იელისს საქართველოს ეროვნალისტთა კავშირის მიერ მოწვეულ პრეს-კონფერენციაზე გ. ჯავახიშვილმა დამსწრეთ გაუზიარა ავსტრიაში ყოფნის შთაბეჭდილებანი. პრეს-კონფერენციას ესწრებოდნენ მისი თანმხლები პირნი მოგზაურობის დროს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მ. მიქელაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამდივნოს გამგე **გ. ლ. ხუნდაძე** და თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი **ნ. მ. კაკაბაძე.**

პრეს-კონფერენცია გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ რედაქტორმა **დ. ვ. მჭედლიშვილმა.**

გ. დ. ჯავახიშვილმა ქმაყოფილება გამოთქვა ვიზიტის შედეგებით, რომელიც როგორც ოფიციალური პირების, ისე ფართო საზოგადოებრიობის მხრივ ყურადღებისა და კეთილმოსურნეობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ყველგან, სადაც კი ვიყავით, — სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, სამედიცინო და კულტურულ დაწესებულებებში, — თქვა მან, —გულითადად გვხვდებოდნენ, რაც მოწმობს ავსტრიის მშრომელთა პატივისცემასა და სიმპათიებს საბჭოთა ადამიანებისადმი.

ავსტრიის ფედერალურ კანცლერთან იოზეფ კლაუსთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან კ. ვალდჰაიმთან, ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურთან გ. გლაისნერთან და სხვა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან ავრეთვე საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან ოფიციალური შეხვედრებისა და საუბრების დროს გამოვთქვამდით სურვილს, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს და გაღრმავდეს ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა ავსტრიისა და საბჭოთა კავშირს და, კერძოდ, საქართველოს სს რესპუბლიკას შორის.

ორივე მხარემ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნეიტრალიტეტის შესახებ 1955 წელს დადებული სახელმწიფო ხელშეკრულების პირობების დაცვას. საუბრების დროს ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფო ხელშეკრულების პირობების დაცვა, სსრ კავშირსა და ავსტრიას შორის ურთიერთგაგების გაღრმავება ხელს შეუწყობს მშვიდობის შენარჩუნებას ევროპაში და რომ საბჭოთა კავშირს სურს ხელი დაადოს ავსტრიის თავისუფალს, დამოუკიდებელს, განვითარებადს ნეიტრალურ სახელმწიფოს ევროპის ცენტრში.

გ. დ. ჯავახიშვილმა ილაპარაკა იმ დიდ ინტერესებზე, რომელიც ავსტრიის საზოგადოებრიობამ გამოიჩინა ქართველი ხალხის ცხოვრებისადმი. ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურისადმი.

დასასრულ გ. ჯავახიშვილმა უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებზე. (საკრსი).

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის სხდომა

16-17 ივლისს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ორმოცდამეორე სხდომა. სხდომაში მონაწილეობდნენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლები აღმასრულებელ კომიტეტში: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტ. ცოლოვი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ა. აპრო, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ვაინი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. გომბოჟავი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. იაროშევიჩი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. რადულესკუ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესჩენკო, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ფ. გამოუში.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოსა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმების შესაბამისად აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაში მონაწილეობდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მუდმივი კომისიის მეთაური ვ. ტაინოვიჩი.

სხდომას თავმჯდომარეობდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. იაროშევიჩი.

აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელების პროგრამა.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს გეგმების კოორდინაციის საკითხთა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. კ. ბაიბაკოვმა, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხთა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინმა, საკალუტო-საფინანსო საკითხთა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. მაევსკიმ და სხვებმა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გააკეთეს საინფორმაციო მოხსენებანი იმ სამუშაო ჯგუფების მუშაობის გეგმების შესახებ, რომლებიც შეიქმნა აღმასკომის 41-ე სხდომის დადგენილებით ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი დაღრმავებისა და სრულყოფის კომპლექსური პერსპექტიული პროგრამის შესამუშავებლად.

აღმასრულებელმა კომიტეტმა აღნიშნა სამუშაო ჯგუფების მიერ გაწეული დიდი მუშაობა და მოიწონა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტიზაციის სამუშაო ჯგუფებისა და მუდმივი კომისიის გაწეული გეგმები ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებათა შემუშავების შესახებ და ხანგრძლივ პერსპექტიულ პერიოდში მათი განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი.

გაწეული სამუშაოს შეფასებისას აღმასრულებელმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საბჭოს XXIII (სპეციალური) სესიის დადგენილების რეალიზაციის ამ ეტაპზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამუშაო ჯგუფების გაწეული გეგმების პროექტების მომზადებას, რამაც ხელი შეუწყო ამ მუშაობაში ბევრი სახელმწიფო მოღვაწის, ამ ქვეყნების სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის თვალსაჩინო ეკონომისტისა და სპეციალისტის ჩაბმას.

აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობის დარგში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების შემდგომი თანამშრომლობის შესახებ საბჭოს XXIII (სპეციალური) სესიის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის პროგრამა, რომელიც წარმოადგინა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სავალუტო-საფინანსო საკითხთა მუდმივმა კომისიამ.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

ქართველი მეცნიერის კიდევ ერთი აღიარება

აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილს მიენიჭა საერთაშორისო პრემია „მოდესტო კანეტი“.

ბუენოს სასიხარულო წერილი მოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს **ნიკოლოზ მუსხელიშვილის** სახელზე. წერილს ხელს აწერს იტალიის ქალაქ ტურინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი **კარლო ფერარი.** ტურინის აკადემიის პრეზიდენტი იტყობინება, რომ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილს 1969 წლის 18 ივნისის აკადემიის სხდომაზე ერთხმად მიენიჭა **საერთაშორისო პრემია „მოდესტო პანეტი“ — ოქროს მედალი და ფულადი ჯილდო.**

როგორც წერილიდან ჩანს, აღრე ეს პრემიები მინიჭებული ჰქონდათ მსოფლიოს 5 მეცნიერს — პროფესორ ჯეფრი ინგრამ ტეილორს (1958 წ.), პროფესორ იოჰანეს მარტინუს ბურგერსს (1960 წ.), პროფესორ ვილიამს პრაგერს (1963 წ.), პროფესორ მაიკლ ჯეიმს ლიგტილს (1965 წ.), პროფესორ კლიფორდ ტრუზდელს (1967 წ.).

ტურინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პროფესორი კარლო ფერარი ჩვენს სახელოვან მეცნიერს სწერს: „მოგილოცავთ რა დაჯილდოებას აკადემიისა და პირადად ჩემი სახელით, გთხოვთ ჩამობრძანდეთ იტალიაში პრემიის მისაღებად **1969-1970** აკადემიური წლის გახსნის ზეიმზე ამა წლის ნოემბერში. ტურინში თქვენს ჩამოსვლასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გავიღებთ ჩვენ.

იმედი მაქვს, რომ შესაძლებლად მიიჩნევთ მიიღოთ ეს მოწვევა და დიდად მადლობელი ვიქნები, თუ შეძლებთ წინასწარ შეგვატყობინოთ თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი ტურინში თქვენი ჩამობრძანებისათვის ნოემბერში. მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები“.

აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი პირველი საბჭოთა და მეექვსე მსოფლიო მეცნიერია, რომელსაც ეს მაღალი ჯილდო მიენიჭა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილს, მთელი კოლექტივის სახელით მიულოცა მაღალი ჯილდო და სთხოვა თავისი აზრი გაეზიარებინა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის.

— ეს ჯილდო სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის, — გვეუბნება მეცნიერი, — დიდად აღფრთოვანებული ვარ ამ მაღალი აღიარებით, ტურინის აკადემია ერთ-ერთი ძველი აკადემიაა იტალიაში, მრავალი ჩემი შრომა დაკავშირებულია იტალიელი მათემატიკოსების შრომებთან, იტალია იყო პირველი უცხოეთის ქვეყანა, სადაც ჩემი ნაშრომი დაიბეჭდა დიდი იტალიელი მათემატიკოსის ვიტო ვოლტერას წარდგენით.

ჩემთვის ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ ეს ჯილდო ორ წელიწადში ერთხელ ენიჭება მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერს მათემატიკასა და მექანიკაში ფუნდამენტური შრომებისათვის, სამეცნიერო მიღწევებისათვის. დაჯილდოებულთაგან პირადად ვიცნობ ინგლისელებს ჯეფრი ინგრამ ტეილორს და კლიფორდ ტრუზდელს, ამერიკელ ვილიამს პრაგერს, მათ შევხვედრივარ მსოფლიო მათემატიკოსთა კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე. ტრუზდელი თბილისშიაც არის ნამყოფი მეუღლეთურთ.

სიამოვნებით ვიღებ იტალიელი მეცნიერების მიწვევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის საუკუნე

ფიქრებით შენთან ერთად, მკითხველო!

ისტორიის მანძილზე მრავალი იუბილე აღნიშნულა. თვით ისტორიამ, ხალხმა იცის მათივე წრაფიდან გამოსული ყველაზე თვალსაჩინო მებრძოლის დაფასება.

თუ ამ რჩეულებს ჩვენი პლანეტის მთებს შეედარებთ, მაშინ ვლადიმერ ილიჩი ყველაზე უმაღლესი მწვერვალია.

ის კაცობრობის ყველაზე ბუმბერაზი სიმაღლეა, საიდანაც თვალნათლივ მოჩანს ხალხების განვლილი გზა და ისიც, თუ მომავალში როგორ და რანაირად წავა კაცობრობის მსვლელობა.

შეუძლებელია ლენინის სიდიადე გამოხატო რაიმე შედარებით.

რა არის მის გოლიათობასთან თვით ყველაზე უმაღლესი მწვერვალი!

ცალკე აღებული, ვლადიმერ ილიჩს ვერაფერი მისწვდება, ვერ გაუტოლდება.

ამასთან ეს სახელი საოცრად უბრალოა, შეუდარებლად მახლობელია თვითეული ჩვენგანისათვის.

მწვერვალი რაგნად თვალშეუდგამიც არ უნდა იყოს, რაგნად საკვირველიც არ უნდა იყოს, მაინც მწვერვალია, პირველ შეხვედრილებაზე მეტი არასოდეს არის. ის აღარ მაღლდება.

ლენინი კი ისეთი მწვერვალია, რომელიც კაცობრობის წინაშე გამუდმებულად იზრდება, სულ ახალი და ახალი მილიონები რწმუნდებიან რა ლენინის სიმაღლის სწორუპოვრობაში, მიისწრაფვიან გაუსწორდნენ მას.

ლენინის სახელთან დაკავშირებულია ყველა ნამდვილი, ყველა მართალი გული.

ამ დღეებში ენგურის ხეობით მესტიაში მიმავალი გზაც ენგურჰესის მშენებელს შეეხვედ, უბრალო რიგით მშენებელს.

მას მკერდზე პაწაწა მედალიონი ჰქონდა ლენინის სურათით.

მას არაფერი მაღალფარდოვანი არ უთქვამს. უბრალოდ გამოხატა გულისხმიერება — გვითხრა, რა გაკეთდება ვლადიმერ ილიჩის დაბადების ასი წლისთავისათვის საერთოდ ენგურჰესის მშენებლობაზე და თვითონ პირადად რას გაკეთებს.

ხევის სიღრმეში ქუხდა ენგური.

ხადღაც მაღლა, მთებს აზანზარებდა ლალუმების გრიალი.

მშენებელი, ლენინის სურათით, უსმენდა ამ სიმფონიას. დაკოცრილ ხელს ხან ერთ მხარეს გაიშვერდა და ხან მეორეს.

ის ამ მხარის და თვით მთელი ქვეყნის ბეტონ-პატრონად თვლის თავს. მის მკერდზე კი ელიმება ლენინს კეპით, ის შორიდან განვეკრტდა ასეთი რიგითი ადამიანების შემართების სიდიადეს, ენერგიის დაუშრეტლობას.

— აი როგორია ის, რიგითი ადამიანი! — თითქოს გეუბნის ვლადიმერ ილიჩის ბაგიდან, მედალიონიდან გიღიმის კრემლის დიდი მეოცნებე. ამ ოცნებათა რეალობის დასტურად დღეს ენგურის ხეობაშიც მოსულა და მიმართულებას, ძალას აძლევს მშენებელთა თავგანწირვას.

ლალუმების ქუხილი ენგურის ხეობაში — ეს ჩვენი ლენინური ისტორიის ნაბიჯებია. თვით პიტალო კლდეც რა არის მასთან!

— გიყრი განზე, გზა მოგვეცი! — ისმის ძახილი.

ეს ის ძახილია, ვლადიმერ ილიჩმა რომ ასწავლა ხალხს.

ხვანეთის მწვერვალებიდან წამოსული ენგურის ცივი დინება ლენინის გეგმას შეეხვდა და მალე გარდიქმნება სულ სხვა ენერგიად, სულ სხვა სიცოცხლედ.

არა მარტო ენგურის ხეობაში.

არა მარტო მოსკოვისა და გორკის მრეწველობის გიგანტებში.

არა მარტო რუსთავის მარტენებთან.

ყველგან!

უკლებლივ ყველგან!

ძალუმად იგრძნობა მზადების ენერგია, ყველაზე დიდი იუბილესათვის მზადების ენერგია.

იქ, სადაც ენგურჰესის მშენებლობის საზღვრები თავდება და ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები იწყება, ჩვენი მადლიანი მიწის მწვანე სტრიქონებზე ქართველი ქალები წერენ შრომითი გმირობის ახალ ფურცლებს.

იქაც, ჩაის პლანტაციებში საიუბილეო მზადებას აუნთია მოულღლელი თითების ელვა.

სირცხვილი არც სხვა დროს უჭამიათ მეჩაიეებს.

მაგრამ წლევანდელი წელი განსაკუთრებულია, საიუბილეოს წინა წელია!

ცვარი ცვარს მიუმატე და ზღვად იქცევაო. კილოგრამი კილოგრამს ემატება, და დახატული პლანტაციებიდან მოდის მწვანე მდინარეები, რათა შეიქმნას სახალხო დოვლათის დიდი სურნელოვანი ზღვა. ამ ზღვის ნაკადები სათავეს იღებენ თვითეული მეჩაიეს მარდი თითებიდან.

ისევე როგორც ჩვეულებრივი ცისფერი ზღვა წვეთებისაგან, ეს ჩაის მწვანე ზღვაც ფოთოლ-ფოთოლ იქმნება.

როგორც ვთქვით, ისტორიის მანძილზე მრავალი იუბილე აღნიშნულა.

მაგრამ ეს საიუბილეო მზადება, რომელმაც მოიცვა ყველა და ყველაფერი, მაინც სხვაა.

არავის, სრულიადაც არავის არ მოუჩვენება გადაკარბებულად, თუ ვიტყვით, რომ ამ საიუბილეო წელს ჩვენს ქვეყანაში შეიქმნება და გაკეთდება იმდენი, რამდენიც ძველთ მთელი საუკუნის მანძილზე შეუძლებელი იყო.

დიდი თუ პატარა გამარჯვება იწყება და გვირგვინდება ვლადიმერ ილიჩის სახელით.

უპატაკებენ ქალაქები და სოფლები.

უპატაკებენ მშენებლები და მეჩაიეები.

დიდ ალაობაში არიან სოფლის მექანიზატორები. კომბაინის ბუნკერიდან წამოსული ოქროსფერი ბორბალიც სახალხო დოვლათის ნაკადია, ჩვენი არსებობის ნაკადია.

განა იოლია თაკარა მზეში მთელი დღე ტრიალი თანაც ისეთი ტრიალი, რომ ოფლის შესამშრალებლადაც ვერ იცლი.

ვის შეუძლია ცერად შეხედოს კომბაინერის ოფლში გაწურულ გიმნასტიორას, მარილის თეთრ ლაქებს მის მხრებსა და მკერდზე.

მან იცის, რა საშურ, მოუთმენელ საქმეს აკეთებს. როგორ შეიძლება ლუკმის, სარჩოს დაკარგვა! ახლა შეიძლება მართლაც ძალიან გაიბერო, რათა მერე შენს ხალხს, შენს ადამიანებს სიამე მოუტანო.

შრომის ადამიანები მრავალსიტყვიერებას ჩვეული არ არიან.

კომბაინერი ბექტარებითა და ცენტნერებით გამოხატავს თავის პატაკს.

დღეგანდელი განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები კი ბაზს უსვამენ ამ შრომის დიდ დანიშნულებას — საიუბილეოდ!

იუბილესათვის მზადებაში ყოველ დღეს თავისი მებრძოლი როლი აკისრია. ეს ასახულია საერთოდ ხახალხო ფიქრებში და ყოველი მოქალაქის მოქმედებაშიც.

ადამიანებს თავ-თავიანთი ადგილი უჭირავთ.

ჩვენ გვჭირდება ახალი ტურბინები, გვირაბები, გზის და გაზის ახალი კილომეტრები.

გვჭირდება ფოლადის გაძლიერებული ნაკადი, ნავთობის ახალი შადრევნები.

ბუნკერებიდან წამოსული ხორბლის მატება, ზვრების მეტი სიმძიმე.

ახალი კარგი, შთამაგონებელი წიგნები.

ბავშვებისათვის მეტი მიალერსება.

სანატორიუმები პენსიონერებისათვის.

გვჭირდება მანქანების სიმრავლე, ახალი არხები.

ყველა ამისათვის და თვითეულისათვის საჭიროა ადამიანი და მისი შრომა, მისი შემოქმედება.

თავიანთი კონკრეტული საქმეების პირისპირ დგანან კონკრეტული შემსრულებელნი. ახე იქმნება საერთო ფერხული, ბედნიერი წონასწორობა, რომელშიც გამოხატულია ჩვენი ლენინური ცხოვრების შთამაგონებელი აზრი.

აზრი, როცა ყველა ერთისთვის არის და ერთი ყველასათვის.

ყველას პროფესია, ყველას შრომა პატივსაცემია. ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან ძალიან მჭიდროდ და ორგანულად.

როცა მილიონებს უხარიათ გამარჯვებანი კოსმოსში, ეს მარტო მადალნიჭიერი მეცნიერთა და კოსმონავტთა გმირობის აღიარება როდია. ამ სიხარულის უფლება აქვს თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს, რადგან იგი როგორღაც მონაწილეა უკვდავი ისტორიული მოვლენისა.

როცა პირველად მთვარეს და ვენერას მისწვდა საბჭოთა ადამიანების აზრის ტრიუმფი, მისი ფრთები, მისი სიმბოლო ლენინის სახე იყო.

ამას წინათ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტის წარმომადგენელნი ურღვევი ერთიანობის ნიშნად უპირველეს ყოვლისა ლენინის სახელს წარმოსთქვამდნენ.

ლენინი — ეს სამყაროს მომავალი სახელია. იგი აერთიანებს ყველა საუკეთესო და მართალ ოცნებას. იგი ამტკიცებს თავის უკვდავებას, იგი აღგავსებს რეალური იმედებით. ლენინია კომუნიზმის სახელი.

ლენინის ახი წელი — ეს დიდზე დიდი საუკუნეა. იგი საუკუნეთა გვირგვინია. და თავს უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობს, რომ გიხდება ციცოცხლე, ცხოვრება, ბრძოლა ლენინის საუკუნეში, მისი დიდი დროშით. ამ ბედნიერებაში, მარტო ტკბობა როდი იგულისხმება. ყველამ იცის, რა ჯარტხილი გადაიხადეს ლენინის მოწოდების, ლენინის საქმის ადამიანებმა. დიახ, ლენინის ადამიანებმა!

ხალხი თავის ჭეშმარიტ ბედნიერებას ჭედდა ლენინის პარტიის ბრძოლის წინამძღოლობით. არ ერიდებოდა გაჭირვებას. არ ერიდებოდა თვით სიკვდილსაც. დიდი მიზანი მიღწეულ იქნა დიდი მსხვერპლის ფასად.

ახლა, როცა ვემზადებით საიუბილეოდ, როცა ადამიანები შრომობენ მეტი თავგამეტებით, ეს უბრალო სურვილი და მონდომება როდია. ყველამ იცის, რომ ეს არის დიადი მონაბოვრთა დაცვა, განმტკიცება, გაღებული მსხვერპლის დაფასება, მამათა ნაკვალევის სათუთად შენახვა.

ეს შეგნება ლენინის ადამიანებისა იქცევა დაუშრეტელ ენერგიად. იგი ფეთქავს გულთან ერთად, ფეთქავს ძარღვებში, კუნთებში, და შემდეგ წარმოქმნის აურაცხელ მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს.

საიუბილეო წლის განსაკუთრებული წარმატებანი ყველა უბანზე ჩვენ გვაინტერესებს და გვჭირდება არა მხოლოდ იმისათვის, რომ ეს იყოს ანსოლუტურად საუკეთესო ყველა სხვა წელთან შედარებით. ეს გვინდა მორიგ გამარჯვებათა მატიცე და მაღალ საფეხურად. საიუბილეო წლის ზრდა მომავალში უფრო სწრაფ ზრდას ნიშნავს.

ყველა მზად არის.

ყველა ჩაბმულია ფერხულში.

ლენინის ადამიანები, სამყაროს გარდამქმნელი ნებით აღსილნი, მიდიან ყველაზე დიდი იუბილესაკენ და გამოკვეთილი, მწყობრი სვლით უჩვენებენ მთელ კაცობრობას ერთადერთ სწორ გზას, რომელსაც ყველა კონტინენტისათვის, ყველა ხალხისათვის ნამდვილი სიხარული და ბედნიერება მოაქვს.

ვლადიმერ გელაშვილი.
მწერალი-მწერნალისტი.

როგორ ემზადებით ახალი სასწავლო წლისათვის?

ლაქკვრელშრი უბანი

წყალტუბოს რაიონის სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებს წელს ბევრი ახალი შენობა შეემატება. ახალი სასწავლო წლის წინ, მარტო ქ. წყალტუბოში საექსპლოატაციოდ გადაეცემა მე-2 საშუალო სკოლის 12 საკლასო ოთახი, 140-ადგილიანი ბაგა-ბაღი, № 1 საბავშვო ბაღისათვის მიშენებული შენობა, დაიწყება ქალაქის მე-4 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მშენებლობა. ახალ სასკოლო შენობებს აგებენ და არსებულს აფართოებენ აგრეთვე რაიონის მთელ რიგ სოფლებში.

სასკოლო მშენებლობა ყველგან დამკვრელურ უბნად არის გამოცხადებული.

ქუთაისის № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის წყალტუბოს № 2 სამმართველოს (უფროსი ზ. თავდამური) მშენებლებმა უკვე საექსპლოატაციოდ მოამზადეს მე-2 საშუალო სკოლისათვის ახლადმოშენებული 12 საკლასო ოთახი. აღნიშნული სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებლის ო. იოსელიანის მეცადინეობით დამთავრდა ორსართულიანი ტიპური ბაგა-ბაღის მშენებლობა. მალე აქ შიდამოპირკეთების სამუშაოებსაც მორჩებიან და ახალ შენობას ვადაზე ერთი თვით ადრე ჩააბარებენ.

ვადამდე, 1 აგვისტოსათვის ყოველმხრივ მზად იქნება საექსპლოატაციოდ ქ. წყალტუბოს № 1 საბავშვო ბაღის შენობაზე მიშენებული ექვსი ოთახი, რომელიც კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წყალტუბოს სამშენებლო-სარემონტო კანტორამ (უფროსი ნ. დემეტრაძე, სამუშაოთა მწარმოებელი მ. პატარაია) ააგო. აღებული ტემპები მოწმობენ, რომ აღნიშნული კანტორის მშენებლები (სამუშაოთა მწარმოებელი ა. გუბელაძე) 20 აგვისტომდე დაამთავრებენ სოფელ გეგუთის საშუალო სკოლისათვის ექვსი საკლასო ოთახის მიშენებას.

დაწყებითი სკოლების ახალ შენობებს აგებენ „საქგუმბრინის" წარმოების მუშათა დასახლებაში, პირველ წყალტუბოსა და თერნალეში, ხოლო მასწავლებელთა სახლს — სოფელ ქვიტირში. შენობათა რემონტი უკვე დაამთავრეს მაღლაკის, სორმონისა და ფარცხანაყანევის სკოლებში. ათასობით მანეთის ხელსაწყო-იარაღები შეემატა ქიმიებიტ-ლაბორატორიებს, ხოლო ლიტერატურა სასკოლო ბიბლიოთეკებს. სკოლებისათვის ახლად შეიძინეს 360 მერხი, 720 სკამი, 60 დაფა და სხვა ინვენტარი. ადგილზე მიეგებულია 102 დასახელების სახელმძღვანელობები.

აღრიცხულია სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი. ახალ სასწავლო წელს რაიონის სკოლებში მერხებს მიუჯდება 1.300 პირველკლასელი.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.



სიახლე საწარმოში

ალჟირი, ინდოეთი, ირანი, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, ფინეთი, ბულგარეთი, რუმინეთი — აი იმ ქვეყნების არასრული სია, სადაც ცხინვალის ქარხანა „ვიბრომანქანის" პროდუქცია იგზავნება. ქარხნის პროდუქცია დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს საერთაშორისო ბაზარზე. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის უფროს ოსტატს, ცნობილ რაციონალიზატორს მიხეილ პოდლესნოვს. ქარხანაში დანერგილია მისი ორმოცამდე რაციონალიზატორული წინადადება. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი სამღებრო განყოფილება, სადაც დაიდგმება პოდლესნოვის კონსტრუქციის ხიდური ამწე. მშენებლობას მთავარი ინჟინერი ვ. არჩვაძე ხელმძღვანელობს.

სურათზე: მ. პოდლესნოვი (მარცხნივ) და ვ. არჩვაძე მუშაობის დროს.

ფოტო ვ. მორგუნოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს პროფკავშირული აქტივის კრება

18 ივლისს თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში, გამართა საქართველოს პროფკავშირთა აქტივის კრება, კრებას მუშაობაში მონაწილეობდნენ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა, კოოპერირული და პროფკავშირული მუშაკები, პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეები და მსხვილ სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა დირექტორები, მრეწველობისა და ტრანსპორტის ნოვატორები.

აქტივის კრებამ მოისმინა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის შ. დ. კოკნაძის მოხსენება „კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო [illegible] [illegible] [illegible]

საერთაშორისო ცხოვრება

ერთობის განმტკიცების გზით

პარიზი, 18 ივლისი. (საკდესი). კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირს ეძღვნება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „კაიე დიუ კომიუნისმის“ სპეციალური ნომერი.

ჟურნალი აქვეყნებს ყველა დოკუმენტს, რომლებიც კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა მიიღეს მოსკოვში, აგრეთვე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ვალდეკ როშეს გამოსვლას თათბირზე და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრის ჟორჟ მარშეს მოხსენებას საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მუშაობის შედეგები.

„კაიე დიუ კომიუნისმის“ სარედაქციო სტატიაში ხაზგასმულია, რომ მოსკოვის საერთაშორისო თათბირი არის „უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი კომუნისტური პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის განმტკიცების გზაზე“. მოსკოვის თათბირმა, წერს ჟურნალი, ღრმად გააანალიზა მსოფლიოს ახლანდელი ვითარება, ძალთა თანაფარდობა, რომელიც ამ ბოლო წლებში დამყარდა, მან გვიჩვენა, რომ იმპერიალიზმს აღარ შეუძლია თავს მოახვიოს თავისი ნება კაცობრიობას.

ჩვენი პარტია, წერს ჟურნალი, კვლავაც იბრძოლებს შეუნელებლად როგორც მემარცხენე გადახრისა და ავანტიურიზმის წინააღმდეგ, რომლებიც დამახასიათებელია უწინარეს ყოვლისა ჩინეთის ხელმძღვანელთა შოვინისტური პოლიტიკისათვის, ისე მემარჯვენე ოპორტუნისტული ტენდენციების წინააღმდეგ.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია, წერს დასასრულ „კაიე დიუ კომიუნისმი“, მთელ ძალლონეს მოახმარს ყველა მოკეთე პარტიას შორის მეგობრობის, ხელიდარობისა და თანამშრომლობის, მთელ ანტიიმპერიალისტურ ძალებთან თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

რასისტთა თანამშრომლობა

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. (საკდესი). სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის წარმომადგენლები, სარგებლობენ რა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა ამჟარა მფარველობით, აქტიურ შეკავშირებას ახდენენ ამერიკის საზოგადოებრიობის აზრზე შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ აფრიკის რასისტებს შორის ურთიერთობის შემდგომი გაფართოების მიზნით.

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ ამერიკელთა შორის პროპაგანდისათვის მილიონამდე დოლარი დახარჯა.

მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საინფორმაციო სამსახურის ხარჯებმა, რომლის შტაბ-ბინა ნიუ-იორკის ცენტრში ფეშენებელურ მეხუთე ავენიუზე მდებარეობს, 1968 წელს შეადგინა 400 ათას დოლარზე ცოტა მეტი. როგორც პრომაგანდისტული ენტერორის დირექტორი დენელიერსი აღნიშნავს, ეს სოლიდური თანხა ძირითადად მომმართა ფილმების ჩვენებასა და ბეჭდვითი პროდუქციის გავრცელებას. ქალაქის ხელისუფლებმა სიამოვნებით მისცეს რასისტებს ნება ნიუ-იორკში გაეხსნათ სპეციალური წვრთნის მაღაზია, სადაც იყიდება ლიტერატურა, რომელიც ხოტბას ასხამს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აპარტეიდის სამარცხვინო რეჟიმს და ცდილობს გამამართლოს რასისტთა დანაშაული სამხრეთ აფრიკაში.

ფაქტი კომენტარით

დუელი გრძელდება

ლონდონი, 17 ივლისი. (საკდესი). განიარაღების საკითხთა თათბირობამ გაგრძელებულა დეკანტი, რომელიც ბრიტანელებს სთავაზობს ესპანეთის მოკავშირეობას, თუ ისინი ესპანეთში ბაზავლენ. იუწყება რეიტერის საბჭოთა-ფენტი მადრიდიდან.

□ □

საკდესის კომენტატორი ლუის სერანო ამასთან დაკავშირებით წერს:

ინგლისისა და ესპანეთის ბრძოლა გიბრალტარისათვის ერთ სულ უფრო მწვავდება. მადრიდის მმართველებმა ჯერ დაკეტეს ესპანეთ-გიბრალტარის საზღვრები ხელოვნური ალბეზირასსა და გიბრალტარს შორის.

ეს იყო სპასუხო ლონისძიება ინგლისის მხერ ცალმხრივი წესით გიბრალტარის ახალი კონსტიტუციის შემოღებაზე, რომელიც აკანონებს ინგლისის ბატონობას გიბრალტარში მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდა ინგლისს მიანიჭოს დამოუკიდებლობა გიბრალტარს არაუგვიანეს 1969 წლის 1 ოქტომბრისა.

ოფიციალური მადრიდის გადაწყვეტილებამ ლონდონის მმართველი წრეების დიდი აღშფოთება გამოიწვია. მთელმა რიგმა ცნობილმა ინგლისელმა პარლამენტარებმა მაშინვე მოსთხოვეს მთავრობას აუკრძალოს ესპანელ მეშვებს ინგლისში მუშაობა. ეს ღონისძიება ლახვარს ჩასცემდა ესპანეთის ეკონომიკას, მოუსპობდა ესპანეთს ინგლისის საწარმოებში დასაქმებულ ესპანელ მშრომელთაგან უცხო ვალუტის შემოსავალს. ეს პარლამენტარები მოიწოდებენ აგრეთვე შეწყვიტონ ინგლისელ ტურისტთა მოგზაურობა ესპანეთში.

ინგლის-ესპანეთის ბრძოლა ჩაღდება. მადრიდმა გადაწყვიტა ახალ მანევრებს მიმართოს: კაუდილოს მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი, რომელიც ესპანეთის მოქალაქეობას სთავაზობს გიბრალტარელებს, თუ ისინი ესპანეთში გადავლენ. ფრანკოს ესპანეთის ეს ნაბიჯი ლონდონში შეიფასეს როგორც მორიგი ჩხვლეტა, ინგლის-ესპანეთის დუელში გიბრალტარისათვის.

ძნელი სთქმელია, თუ როგორი იქნება ინგლისის საპასუხო რეაქცია ფრანკოს მთავრობის ახალ ღონისძიებაზე. ჯერ-ჯერობით კი, გიბრალტარის „ახალი კონსტიტუციის“ შესაბამისად, 30 ივლისს იქ მოეწყობა არჩევნები, რომელიც მოწოდებულია, ლონდონის ჩანაფიქრით, ცხადყოს გიბრალტარელთა ერთგულება ინგლისის გვირგვინისადმი.

მღელვარება ეკვადორში

ეკვადორის ყველაზე დიდ ქალაქებში ხდება პოლიციისა და შეიარაღებულ ძალთა ჯარისკაცების გაფფრთხილებული შეტაკებანი სტუდენტებთან, რომლებიც მოითხოვენ განათლების სისტემის დემოკრატიზაციას და უნივერსიტეტის საჭიროებისათვის ასიგნობათა გადიდებას.

* * *

სურათზე: შეიარაღებულ ძალთა ჯარისკაცები ქალაქ გუაიაკილის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სტუდენტთა დემონსტრაციების დროს.

საკდესის ფოტოკრონიკა.

მდგომარეობა იტალიაში

რომი, 17 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ი. ლოპატინი გვატყობინებს:

დღეს მთავრდება მ. რუმორის კონსულტაციების პირველი ტური. როგორც ვიუწყებოდით, იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯ. სარაგატმა მ. რუმორს დავალა შეექმნა ახალი მთავრობა „მემარცხენე ცენტრის“ პარტიებთან ერთად.

მ. რუმორი უკვე შეხვდა და ხანგრძლივი კონსულტაციები ჰქონდა ეგრეთწოდებულ „მემარცხენე ცენტრში“ შემავალი სამი პარტიის — ქრისტიანულ-დემოკრატიული, რესპუბლიკური და სოციალისტური პარტიების ოფიციალურ დელეგაციებთან.

ყველა დელეგაციამ დაუჭირა მხარი „მემარცხენე ცენტრის“ მთავრობის აღდგენას ძველი შემადგენლობით და ძველი პროგრამით. რესპუბლიკელებმა, რომლებიც მხარს უჭერენ „მემარცხენე ცენტრის“ აღდგენას, განაცხადეს, რომ მთავრობაში არ შევლენ, მაგრამ მხარს დაუჭერენ მას პარლამენტში.

უნიტარულმა სოციალისტურმა პარტიამაც კი, რომელიც სოციალისტურ პარტიას გამოეყო, აგრძნობინა მ. რუმორს, რომ შეიარბილა თავისი პოზიცია და თანახმაა „მემარცხენე ცენტრის“ კოალიციის აღდგენაზე, მაგრამ აუცილებელ პირობად აყენებს, რომ ყველა პარტიამ, რომლებიც მთავრობაში შევლენ, იკისროს ეალდებულება თავი შეიკავოს კომპარტიასთან ყოველნაირი კონტაქტებისაგან.

მთავრობის კრიზისს მიეძღვნა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის სხდომა. ახლანდელ პოლიტიკურ ვითარებას განიხილავს აგრეთვე იტალიის პროლეტარული პარტიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ახლა მმდინარეობს. იტალიის პროლეტარული ერთობის სოციალისტური პარტიის მდივანმა ტ. ვეკეტამ პლენუმზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მემარცხენე კათოლიკეების, სოციალისტებისა და კომუნისტების ერთობა, რომელიც ჩანასახშივე მოსპობდა ყოველნაირ ავტორიტარულ ტენდენციებს და შექმნიდა პირობებს „მარცხენისაკენ“ ძვრებისათვის.

გადასახადები და გიზნესი

ვაშინგტონი, 18 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ჩუესლეი იუწყება:

კაპიტოლიუმში მიმდინარეობს ცხარე დისკუსიები საშემოსავლო გადასახადის კოპროდენტიანი დანაკარგის მოძებნების „ჯადის ბაბრაძ“-ების შესახებ. მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით კმრიკინს სენატის საფინანსო კომისიამ მხარი დაუჭირა მთავრობის წინადადებას შეინარჩუნოს ეს შეგადასახადი კიდევ ერთი წლით.

წინანდელი მთავრობა ამ ღონისძიებას მმართავდა ინფლაციასთან ბრძოლისა და ვიეტნამის აგრესიის ხარჯების ასანაზღაურებლად. ახალი მთავრობის გადაწყვეტილებას — შეინარჩუნოს დამატებითი საფინანსო გადასახადი კონგრესში დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

⊙ **ნიუ-იორკი,** 18 ივლისი. (საკდესი). ბოსტონში (მასაჩუსეტის შტატი) მიმდინარეობს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ასამბლეის 22-ე სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობს 120 ქვეყნის დაახლოებით 450 დელეგატი. სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ბ. პ. დანილოვი.

სესიის თემაა „ჯანმრთელობის დაცვის დარგში განვითარებადი ტექნიკის გამოყენება ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის“.

⊙ **ნიუ-იორკი,** 18 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ა. ჟიგულევი იტყობინებს:

ამერიკის შეერთებული შტატების საავტომობილო კომპანიებმა დაიწყეს მუშების დროებითი დათხოვნა. უმუშევრობა ემუქრება 50 ათას ავტომობილმშენებელს. მეწარმეებმა ასეთი ნაბიჯი გადადგეს უდიდესი მოგების შენარჩუნების მიზნით.

მოგების გარკვეული ნაწილის დაკარგვის რისკი წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, რომ საწყობში დაგროვდა ბევრი გაუსალებელი პროდუქცია.

⊙ **ბეირუთი,** 18 ივლისი. (საკდესი). „ალ-ფათაჰის“ ორგანიზაციის პარტიზანებმა 16 ივლისს შეუტევეს და მოსპეს ხუთი კაციანი შემდგარი ისრაელთა პატრული ზორ-სიდის რაიონში (მდინარე იორდანის ხეობა).

იმავე დღეს ამ ორგანიზაციის მეორე პარტიზანული რაზმი თავს დაესხა ისრაელის პატრულებს გაჰთასის რაიონში (იორდანის ხეობის ჩრდილოეთი ნაწილი). ამ ოპერაციის დროს პარტიზანებმა ისრაელ ოკუპანტებს დაუხოცეს ცოცხალი ძალა და გაუნადგურეს ტექნიკა.

ისრაელის ორი სამხედრო ავტომანქანა აფეთქდა ნაღმებზე, რომლებიც არაბმა პარტიზანებმა ჩაღეს ბირ-შინუჰის რაიონში (მდინარე არაბის ხეობა).

⊙ **კაბული,** 18 ივლისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლები კვლავ წარმატებით ავითარებენ საბრძოლო მოქმედებას, ახალ დარტყმებს აყენებენ ამერიკა-საიგონის ჯარებს. ამას წინათ მათ შეუტიეს ამერიკის სამხედრო ნაწილს № 14 გზატკეცილზე, რომელიც სამხრეთ ვიეტნამის ცენტრალურ ნაწილში გადის. პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 200-ზე მეტი ჯარისკაცი, მოსპეს 34 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი და წამოაგდეს ერთი თვითმფრინავი.

⊙ **ნიუ-იორკი,** 18 ივლისი. (საკდესი). ისრაელი ხელისუფალნი უხეშად არღვევენ ქვეყნის 1949 წლის კონვენციას ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, ხაზი გაუსვა არაბული ქვეყნების ლიგის წარმომადგენელმა ბურკან ჰამადმა, რომელიც გუშინ მოწმედ გამოვიდა ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის სხდომაზე. ეს ჯგუფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შექმნა, ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოძიებისათვის.

ᲛᲔᲡᲘᲯᲘ ᲐᲠᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲐ

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ა. პოროშინი გვატყობინებს:

გუშინ ქალაქ იანგსტაუნში (ოჰაიოს შტატი) შეიყვანეს ეროვნული გვარდიის ჯარები. ქალაქის ზანგმა მოსახლეობამ „დაუპატიჟებელ სტუმრებს“ თვითნაკეთი ბომბები და ქვის სეტყვა დაუშინა. ადგილობრივ მცხოვრებთა და ჯარისკაცთა სისხლისმღვრელი შეტაკებით დამთავრდა მეორე შფოთიანი ღამე მეფოლადეთა ქალაქში.

იანგსტუნაში ქლორ დაძაბული მდგომარეობაა. პოლიცია და ეროვნული გვარდია პატრულობენ ზანგთა რაიონის ქუჩებს. ქალაქის მერის ფლეშმის განკარგულებით იანგსტაუნში შემოიღეს კომენდანტის საათი.

გამოსვლების მონაწილეთა ჯასარეკად პოლიციამ გამოიყენა ია-ღადი, ცრემლსადენი ბომბი და ხელკეტები. იანგსტაუნში რასობრივი მღელვარების მიზეზია თანადგომილი მოსახლეობის ცხოვრების აუტანლად მძიმე პირობები.

უკანასკნელი რასობრივი მღელვარების შემდეგ ბანგლილმა წელმა ცხადყო, რომ ქალაქში არ

მოსკოვში გასტროლები დაამთავრა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრმა

ასეთია მოსკოველთა შეფასება

დიდი სპექტაკლ-კონცერტით მოსკოვში, მ. გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრის ფილიალს სცენაზე დამთავრდა თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკმედიის თეატრის გასტროლები. 16 დღის განმავლობაში ქართული ოპერეტის თეატრმა გამართა 19 წარმოდგენა (საგასტროლო რეპერტუარში იყო 6 სპექტაკლი). მოსკოველებმა ოთხჯერ ნახეს „სიმღერა თბილისზე“ და „ბაბაჯანას ქოშები“, სამჯერ „სიმღერა ტყეში“, „ჩემი შეშლილი ძმა“ და „შეცხრე ტალღა“, ორჯერ „ჩანტას კოცნა“.

საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტრომ და სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო ქართული თეატრის საბანტრო რეპერტუარის განხილვა. აქ მოვიდნენ მოსკოვის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები, მუსიკალური კომედიის თეატრის მთელი დასი, პრესის, რადიოს და ტელევიზიის წარმომადგენლები.

საკავშირო კულტურის სამინისტროს მუსიკალური დაწესებულებების განყოფილების გამგის მოადგილე ს. მირონოვი ხსნის შეხვედრას, აღნიშნავს გასტროლების წარმატებას და სიტყვას აძლევს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს მ. იანკოვსკის.

— ჩვენ შევიკრიბეთ აქ, — ამბობს იანკოვსკი, — მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ აღვნიშნოთ თეატრის წარმატებები მოსკოვში, არამედ იმიტომაც, რომ ბევრი რამ გავიზიაროთ და ვისწავლოთ, დიახ, ვისწავლოთ თქვენგან. ბოლო წლებში მომეწ რსაბულოკების ხელოვნება. დიდ ძვრებს განიცდის, რაც კანონზომიერად მიგვაჩნია.

მსოფლიოში ოპერეტის ისტორია ამტკიცებს, რომ იგი ეყრდნობოდა ამავე ქვეყნის თეატრალურ ტრადიციებს და იმ შემთხვევაში, როცა სწყდებოდა ამ ნიადაგს, ეანრი ნელნელა კვდებოდა კიდეც. ამიტომ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვასო აბაშიძის სახელობის თეატრი ერთ ფერხულში იყო ჩამული მთელი ქართული კულტურის განვითარებასთან. როცა ერთი თვალის გადავლებით იხსენებ, თუ რა ვნახეთ მოსკოვში, ირწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს საბჭოთა თეატრების თუ ხელოვნების ერთ ძალიან მკაფიო და დასამახსოვრებელ განშტოებასთან. ვნახეთ ხუთი სპექტაკლი (მათი ნახვით თამამად შეიძლება იმსჯელო თეატრზე), და აი რა არის აღსანიშნავი: ხუთი ერომანეთისაგან სრულიად განსხვავებული წარმოდგენის მაგვრენი გავხდით. უწინარეს ყოვლისა ეს თავისთავად მეტყველებს, თუ რა დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვს ამ ძალიან თავისებურ, უადრესად ნიჭიერ კოლექტივს.

დავიწყოთ ყველაზე პოპულარული ოპერეტით „ჩანტას კოცნა“, რადგან მას აქ დამსწრეთაგან ყველა კარგად იცნობს. გააზრებულია სპექტაკლის რეჟისურა, რომელიც წინა პლანზე აყენებს დინამიკას, აქცენტირებულია კონფლიქტები. ცოტა გაკვირვება უნდა გამოეთქვა მსატვრის უმისამართო ახსტრაქტული ნამუშევრის გამო. მიზანდასახულობას მოკლებულია ფარდა, რომელიც ერთი შეხედვით ტურისტულ რუკას წაგგავს...

როცა მსახიობებზე ვლაპარაკობ, მინდა აღვნიშნო, რომ მსახიობთა დასი ამ თეატრში სწორედ ის უბანია, რომელიც ყველაზე მეტი ქების ღირსია. დავიწყოთ თ. ხელაშვილისაგან. მისი ჩეხარე არა ჰგავს ჩემს მიერ ნანახ ამ სახეებს. მსუბუქად, ოდნავ დამცინაგად განასახიერებს მსახიობი ამ როლს. იგი ბოროტ და ბაიძვერა მამაკაცს თითქოს სხვათა შორის სატავს. მანერა სწორად არის გააზრებული.

ანგელა პიესის ერთ-ერთი ყველაზე რთული სახეა. პიესის მიხედვით ამ როლში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ეჭვს ბადებს. ამ ეჭვს ბოლოს ბოლოს ანგელა ანეიტრალებს. ასეთი შეშფოთებაც ძალიან იშვიათია. გაცილებით უფრო რეალურია სხვა საშიროება — თავის ტვინის ანგაბადის შიშმილობა და ამასთან დაკავშირებით ცნობიერების დაკარგვა, რასაც ადგილი აქვს ჩაყვინთვისას სიკვდილის ყველა შეშფოთების 70 პროცენტში.

უბედურება ის არის, რომ ანგაბადის შიშმილობისას ცნობიერება ერთბაშად იკარგება, ისე, რომ წინასწარი ნიშნები არ იჩენს თავს. ასე დაიღუპნენ, ასობით ახალგაზდას გარდა, მსოფლიოს ჩემპიონები წყალქვეშა ნადირობაში რამეფატ და კორმანი. ზოგჯერ წარმოიშობა კიდეც ბარბარიზმები ყურისა, ცხვირის დაბარი დრუებისა, უეცრად გასწვავს ტკივილი დახუთავს — რას მისცემს მოსკოველებს ქართული თეატრი, რას გვიჩვენებს ახალს იგი? ქართველებმა ჩამოიტანეს თავისი, განსაკუთრებული სახის მქონე თეატრი. ქორეოგრაფიის მხრივ მინდა გამოვყო „ჩანტას კოცნა“ და „სიმღერა ტყეში“. მსახიობები კარგად ფლობენ გროტესკის ხელოვნებას. მინდა აღვნიშნო არაჩვეულებრივი პლასტიკა, სახე, რომელიც შექმნა ბ. ბეგალიშვილმა (მელა). იგი ქორეოგრაფიულ სახეს ქმნის კარგი ბალეტის დონეზე. რით მომხიბლა „ჩანტას კოცნამ“? აქ რეჟისორი და ბალეტმეისტერი ერთობლივი მუშაობის კარგ ნიმუშს გვაძლევენ, სცენაზე შემსრულებლები გამოყოფილი არ არიან მსახიობებად და მოცეკვავეებად.

სიტყვა ეძლევა თეატრმცოდნე ვ. რიშოვას:

—უწინარეს ყოვლისა ყველა თეატრი ჩვენ გვაინტერესებს თავისი თავისებურებებით და მრავალფეროვანებით. ქართული თეატრის ყველა სპექტაკლი განსხვავდება ერთმანეთისაგან. ავიღოთ ორი სპექტაკლი „სიმღერა თბილისზე“ და „სიმღერა ტყეში“. ეს ორი სრულიად განსხვავებული მანერით წარმოდგენილი სპექტაკლებია.

დიდი წარმატება ხვდა „ბაბაჯანას ქოშებს“, რომელიც მომეწონა რეჟისორული ჩანფიქრით და მსახიობთა უაღრესად კოლორიტული თამაშით. მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა „მეცხრე ტალღის“ შესახებ, თუმცა აქ დრამატურგია მართლაც სუსტია, მუსიკა დიდი ქების ღირსია. აღსანიშნავია დირიჟორი რ. ხუციელავა, რომელსაც დიდი ტაქტით მიჰყავს მთელი წარმოდგენა.

თითქმის ყველა მასობრივი სცენის მიმართ მაქვს შენიშვნები, რადგან მასობრივი სცენები უფრო სტატიკურად არის გადაწყვეტილი.

შემდეგ სიტყვას იღებს მოსკოვის ოპერეტის თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი ბ. ანისიმოვი. იგი ლაპარაკობს თეატრის სტილისტიკისა და განუმეორებელი კოლორიტის შესახებ. კარგი იქნებოდა, — ამბობს იგი, —რომ ჩვენს თეატრებს უსდებოდეთ გაცვლა მსახიობებისა. ჩვენი თეატრის სცენებზე იდგმება ერთი და იგივე წარმოდგენები და ამ წარმოდგენებში შეიძლება გამოვიყენოთ ამ ორი დასის წამყვანი მსახიობები.

შემდგომის დასასრულს თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივის სახელით გულთბილი მიდგებისათვის მოსკოველებს მადლობა გადაუხადა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. მესხმა.

ზ. რცხილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
მოსკოვი.

ფოტოინფორმაცია ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ნარსია თბილისის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს კოლექტივში (ფოტო მ. დამიკაშვილისა). რუსთაველის მშრომელები კულტურისა და დასვენების პარკის ხშირი სტუმრები არიან. განსაკუთრებით იზიდავს მათ არშის ციხის ნანგრევების მიდამოები (ფოტო ბ. ჯანიკაშვილისა). გაშლილ ზღვაში სასეირნოდ ბათუმელ დამსვენებელთა განკარგულებაშია სწრაფმავალი კატერები (ფოტო ვ. მიმიაშვილისა).

დევისის თასზე

საბჭოთა ჩოგბურთელები წარმატებით გამოდიან პოპულარულ ასპარეზობაში — დევისის თასის გათამაშებაში. ამ წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი გავიდნენ ევროპის ზონის გათამაშების ფინალში.

როგორც ცნობილია, ამ გადამწყვეტ ასპარეზობაში მათი მეტოქეა რუმინეთის გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ალიარტები.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან ა. მეტრეველი, ო. ლეიფუსი, ს. ლიხაჩოვი და ვ. კოროტკოვი. უნდა გაიმართოს ერთეულთა ოთხი და ერთი წყვილთა ასპარეზობა. რუმინელთა რაგებში არიან — ი. ცირიაკი, ი. ნასტასი, პ. მერმურიანუ და ს. დრონი.

შეჯიბრება, რომელიც გუშინ დაიწყო, სამ დღეს გაგრძელდება.

ლიდერთა მატჩი

ძ. ფრუნზეს „ალგა“ და თბილისის „ლოკომოტივი“ მეოთხე ქვეჯგუფის ლიდერები არიან. ამიტომ მათი გუშინდელი შეხვედრა თბილისში ფეხბურთის მოყვარულთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა.

დასაწყისშივე ინიციატივა ხელთ იგდეს ლოკომოტიველებმა და ანგარიშიც მათ გახსნეს. ეს მოხდა მეოთხე წუთზე. გოლის ავტორი მაზიაშვილი იყო. 32-ე წუთზე ხუციშვილმა მეორედ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაწყო თამაში. ამის შემდეგ მეტოქეებს ბურთი აღარ გაუტანიათ. გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“ 2:0.

ამ გამარჯვებით თბილისის „ლოკომოტივი“ ერთბიროვნული ლიდერი გახდა. მას 22 თამაშიდან 28 ქულა აქვს.

ლოკომოტიველთა შემადგენლობაში იყვნენ: ბერიძე, გეგეჭკორი (შირიანაშვილი), პანოვი, ფრიდმანი, ონიანი, ძაგანია, შხვაცაბაია, მაზიაშვილი, ბახტაძე, ხუციშვილი, ჭელიძე (მეტრეველი).

„მცირე ოლიმპიადა“ ერევანში

სტარტზე გამოვა 7000 გოგონა და ჭაბუკი

ერევანი დიდი ასპარეზობის მოლოდინშია. დღეს აქ საზეიმოდ გაიხსნება სსრ კავშირის მოსწავლეთა XI სპარტაკიადა. ეს არის წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი მასობრივი ასპარეზობა.

სპორტის 21 სახეობაში შეიკრიბებიან ერთმანეთს მოსწავლე გოგონები და ჭაბუკები. სპარტაკიადის ადრინდელ პროგრამებს დაემატა მხატვრული ტანვარჯიში და აკრობატიკა. შეჯიბრება თითქმის ოლიმპიური პროგრამით მიმეწყობა, ამიტომაც მას „მცირე ოლიმპიადას“ უწოდებენ.

გარდა ტრადიციული ჯილდოებისა დაწესებულია 12 სპეციალური პრიზი, რომლებიც გადაეცემათ საუკეთესო სპორტსმენებსა და კოლექტივებს. სტარტზე გამოვა 7.000 გოგონა და ჭაბუკი, რომელსაც მოემსახურება 1.200 მსაჯი.

უკანასკნელი აკორდი

ყლევანდელი სეზონის ერთ-ერთი მასობრივი ასპარეზობის — ცურვაში ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების ალმი ხარკოვში დაეშვა.

საერთო გუნდურ ასპარეზობაში, როგორც ადრე ვიუწყებოდით, პირველობა მოსკოველებს ხვდათ. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს უკრაინისა და რსფსრ-ის ცურაოთა კოლექტივებმა.

უკანასკნელი დღეს გაიმართა ექვსი ფინალური ასპარეზობა. გაანწილდა მედლების უკანასკნელი კომპლექტები. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ქალთა შორის წარმატება ხვდა ლ. მილენინას (უკრაინა), რომელმაც აჩვენა დრო — 5.30,5. ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა მოსკოველი მცურავი ა. დუბოვი. — 4.47,3. შეუბოვრი გამოდგა ქალთა ბრძოლა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. აქ ოქროს მედალი მოიპოვა ტ. კრავჩენკომ (ხოსროვა) — 10.13,3. 1.500 მეტრზე ვაჟთათვის თავისუფალი სტილით ცურვაში ყველას აჯობა და მეორე ოქროს მედალი მოიპოვა ა. დუნაევმა — 17.05,2.

იუნიორის „სიმნიფის ატესტატი“

ცხენოსნობაში სსრ კავშირის ჩემპიონატში 17 ივლისს მხოლოდ დამატებითმა შეჯიბრებამ გამოავლინა გამარჯვებული ოლიმპიურ სახეობაში — სსრ კავშირის თასზე დაბრკოლებათა გადალახვაში. დიდი ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა ვიქტორ მატვეევმა, რომელიც გამოდიოდა ცხენით „კროხოტნი“. 13-დაბრკოლებიან (16 ნახტომი) 750 მეტრი სიგრძის ტრასაზე ორი გამოსვლის ჯამით მან 4 საჯარიმო ქულა მოაგროვა. ამდენივე ჰქონდა აგრეთვე სომხეთის ახალგაზრდა წარმომადგენელს ვიქტორ ბელის.

მაშინ დაინიშნა დამატებითი შეჯიბრება. მატვეევმა დისტანცია განვლო 55 წამში და საჯარიმო ქულები არ მიუღია. ბელიმ კი ორივე მანძილი ექვსი წამით ნაკლებ დროში გაიარა.

კანონზომიერია მატვეევის წარმატება. იგი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის მონაწილეა. ბელის მეორე ადგილი კი სენსაციურია. იგი 19 წლისაა, აქვს პირველი თანრიგი. ახლა კი მან სპორტის ოსტატობის ნორმა შეასრულა.

მესამე პრიზიორი გახდა უკრაინის წარმომადგენელი ზიაბრევი — 7,5, საჯარიმო ქულა.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი ცხენოსნობაში კვირას დამთავრდება.

ქვეყნიერების გარშემო „რა“ გასაჭირშია

მერშე კვირაა ატლანტის ოკეანეში მიცურავს პაპირუსის ნავი „რა“, რომლის ინტერნაციონალური ეკიპაჟი შვიდი კაცისაგან შედგება (მათ შორის არის საბჭოთა ექიმი ი. სენკევიჩი). ეკიპაჟს მეთაურობს ცნობილი ნორვეგიელი მკვლევარი ტურ ჰეიერდალი.

ამ უკანასკნელ დღეებში ნავს ღატუყდა შტორმული ქარები. ორმაბანდა და სამშბანდა ოკეანე ბობოქრობდა, ასხამდა კოკისპირული წვიმა.

16 ივლისს მოსკოვის დროით 17 საათსა და 30 წუთზე ნავის რადისტმა ნორმან ბეიერმა გადასცა რადიოგრამა, რომ რამდენიმე წუთის წინ ოკეანის იმ წერტილში, რომლის კოორდინატებია ჩრდილოეთი განედის 13 გრადუსი და 25 წუთი და დასავლეთი სიგრძეზის 47 გრადუსი და 30 წუთი, მათი ხომალდი შეხვდა გემს „შენანდოუს“. გემი პარალელური კურსით მიაცილებს ნავს ორი მილის დაშორებით ჩრდილოეთის მხრიდან. „რაზე“ ყველაფერი წესრიგშია. ეკიპაჟის წევრები ჯანმრთელნი არიან. როგორც „კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტი ი. მორონი იუწყება, რადიოგრამა მიიღო ლენინგრადელმა რადიომოყვარულმა ვ. მოხოვმა.

რა მოხდა შემდეგ?

ნიუ-იორკი, 17 ივლისი. (საკ. ფსი). ნავი უკანასკნელი მონაცემებით, იმყოფება 1.200 კილომეტრზე ბარბადოსის კუნძულებიდან ვესტ-ინდოეთში. შტორმის შედეგად, როგორც საინფორმაციო საგაზეთოები იუწყებიან, „რას“ ანძას მოტყდა ქანდარა, დაეხა იალქნები, დაუზიანდა ზოგიერთი ხის ნაწილი.

დღეს დილით ჰეიერდალმა უბრძანა ეკიპაჟის ყველა წევრს, რომლებსაც ორი დღეა არ დაუსვენიათ და თვალი არ მოუხუჭავთ, დაეტოვებინათ „რა“ და დროებით გადასულიყვნენ ხომალდ „შენანდოუზე“.

მალე ჰეიერდალი და ეკიპაჟის რამდენიმე წევრი დაბრუნდნენ „რაზე“ და გულდასმით დაათვალიერეს შტორმისაგან დაზიანებული ადგილები. მათ აწუხებთ სამართავი საჭის მდგომარეობა. პაპირუსი კი, რომლისგანაც დამზადებულია ნავი, როგორც ჰეიერდალმა თქვა, არაჩვეულებრივად გამძლე გამოდგა.

როგორც იუნიატედ პრეს ინტერნეშნლის საგაზეთო იუწყება, ტურ ჰეიერდალმა განაცხადა, რომ „ვერავითარი ძალა“ ვერ აიძულებს უარი თქვას მოგზაურობის დამთავრებაზე, იგი აპირებს შეაკეთოს ნავი, დაელოდოს ხელსაყრელ ამინდს და მიაღწიოს საბოლოო მიზანს — ბარბადოსს.

ნაირ-ნაირი

ზაფხულია. ათასობით და ათასობით ადამიანი მიეშურება ზღვებისა და ტბებისაკენ, მდინარეთა ნაპირებზე. თან ნეტარებს სამფლობელოთა სილამაზე უხმობს და იზიდავს, მეტადრე ახალგაზრდობას. და აი ამიტომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ვინმეს შეექმნას ყალბი წარმოდგენა თითქოს წყალქვეშა სპორტში ყველაფერი მარტივი და მოსაწყენია, თითქოს საჭირო არ იყოს არც ჩინებული ჯანმრთელობა, არც სპეციალური ვარჯიში, არც სპეციალური წვრთნა გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით — იყიდე ფარფლთათვეს, ნიღაბს, სასუნთქავ მილს და ჩაეშვები წყალში.

სიღრმეში ყვინთვის საშიშროებაზე მოგვითხრობს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სსრ კავშირის წყალქვეშა სპორტის ფედერაციის სამედიცინო-ფიზიოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ტიურინი თავის სტატიაში „ფრთხილად: სიღრმეა!“ რომელიც სანიტარული განათლების ცენტრალურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა მოგვაწოდა.

□

ვამოდიდმა ფრანგმა სპორტსმენმა მორის ფარგმა აკვალანგი გაიკეთა, წყალში ჩასტა და სწრაფად ჩაშვება იწყო. სასიგნალო თოკის შერხევით დროდადრო იტყობინებოდა, რომ კარგად გრძნობდა თავს. მაგრამ აი სიგნალები შეწყდა. დაზღვევაზე მყოფნი თოკს სწრაფად ამოწევას შეუდგნენ, ერთ-ერთი აკვალანგისტი წყალში ჩაეშვა. მორის ფარგი უკრძნობ მდგომარეობაში მყოფი ამოიყვანეს, რამდენიმე საათის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ გადაერჩინათ. თავის სიცოცხლეში ამ უკანასკნელი ჩაშვებისას აკვალანგისტმა 120 მეტრ სიღრმეს მიაღწია და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მეორე გატაცებულმა სპორტსმენმა — ფლორიდელმა მყვინთავმა ჰაუნ რუტმა კარგვე უფრო დიდ სიღრმეს — 152 მეტრს მიაღწია. მაგრამ მასაც ამაოდ ელოდნენ ხომალდზე. ახალი ჩემპიონის სხეული უკვალოდ გაქრა ზღვის სიღრმეში.

რა არის ამ ტრაგედიების მიზეზი? ორივე გამოცდილი აკვალანგისტი აზოტური ნარკოზის — „სიღრმეში დათრობის“ მსხვერპლი გახდა. საბჭოთა მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ აკვალანგით ჩაშვება საშიშია უკვე 50-60 მეტრი სიღრმიდან. ამიტომ სსრ კავშირში ასეთი შეჯიბრებანი არ ეწყობა.

გაცილებით უფრო რთულია ბრძოლა რეკორდმანიასთან უკვალანგოდ ზღვრული სიღრმეების მიღწევაზე. როგორ შეეკავოთ წყალში თვითმქმედი ჩაშვებისაგან გამოუცდელი ადამიანები, „გაბედულები“, რომლებსაც წყალქვეშა სპორტთან პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ?! და რამდენი არიან კიდევ ისინი — იმ „რეკორდების“ შინაგაზრდილი დამმყარებლები, არავისთვის რომ არ

ფრთხილად, ლრმაა!

ჩვენი რჩევა

რომლებსაც საჭვენებელად გამოაქვთ წყალქვეშა სამყაროს მხოლოდ რომანტიკული მხარეები და არ აფრთხილებენ ახალგაზრდობას იმ სერიოზული საშიშროების წინააღმდეგ, რაც დაკავშირებულია სიღრმეზე ჩაშვებასთან.

უკვალანგოდ ყვინთვა ვარჯიშის ყველაზე საშიში სახეობაა. ადამიანი წყალქვეშ ექცევა უჩვეულო არეში, რომელიც მოკლებულია გაზისებრ ანგაბადს, ფრიად მკვრივია და უკუშშვადობის გამო მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევს მოძრაობას. ჩაყვინთულს უხდება დიდი ფიზიკური მუშაობა აწარმოოს სუთქვის ხანგრძლივად შეკავებისას და მის სისხლში მკვეთრად ეცემა ჟანგბადის დაბავა. წყალი სხეულს აციგებს და ჟანგბადის მოხმარება კიდევ უფრო ინტენსიური ხდება. ამ პირობებში სწრაფად ვითარდება ჟანგბადის უმარობა. წყალქვეშა სიღრმეში სხეულის მეტად გაცივება სამაშია იმითაც, რომ ამასთან ხშირად წარმოიქმნება კრუნჩხვა, ავრეთვე ირღვევა ვენტილიური აპარატი.

გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს ჩაყვინთვისას ძირითადად იმისგან იღუპებიან, რომ წყალქვეშა

ცდილობდა დაეყარებინა ყვინთვის „ფიზიოლოგიური ზღვარი“ და წყალქვეშ ემგებოდა სრული ამოსუნთქვისას. მეცნიერება მეცნიერებაა, მაგრამ ასეთი „ცდებს“ გამოქვეყნება, თანაც ისე, რომ არ გააფრთხილოს მათი უდიდესი საშიშროების შესახებ, შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. სიღრმეზე დაყვინთვა, განსაკუთრებით ამოსუნთქვის შემდეგ, საშიშია პირველ რიგში არა იმიტომ, რომ „ბულბულრდი დაშლას“ დაიწყებს, არამედ სულ სხვა უფრო ახლო და რეალური საფრთხის გამო. სრული ამოსუნთქვით ჩაყვინთვისას ფილტვებს შიგნით ნივთიერება უთანაბრდება გარეთა ნივთიერებას იმის სარჯზე, რომ სისხლი და ლიმფა მიედინება გულმკერდში მდებარე ორგანოებში. მაგრამ ორგანიზმის კომპენსატორული რეაქციები უსაზღვრო როდია, ისინი შეიძლება მალე ამოიწურონ, და მაშინ ხდება ტრაგედია: ფილტვების ბარბარიზმი გაიშვიათების გამო — სისხლის ჩაქცევა ფილტვებში, ცნობიერების დაკარგვა, კიდურების დაშლა. სრული ამოსუნთქვით ჩაყვინთვისას მკვეთრად იზრდება ტვინის ჟანგბადის შიშმილობის საშიშროებაც.

ერთხელ კიდევ უნდა მოვაგონოთ მყვინთავ რეკორდსმენებს, რომ ჩამოთვლილ საშიშროებათა გარდა სიღრმეში მათ ემუქრება ფილტვების ბარბარიზმი. ამ უმძიმესი დაავადების განკურნებისათვის არ კმარა ამოვიყვანოთ ადამიანი წყლიდან და მოვათავსოთ ჩვეულებრივ სამკურნალო დაწესებულებაში. ასეთი ავადმყოფობისაგან განკურნება შეიძლება მხოლოდ სარეკომპრესიო კამერაში — გადიდებული წნევით. ასეთი კამერები, სამწუხაროდ, ყველგან როდია, და აზრი არა აქვს უბრალო რიხანობისათვის საფრთხეში აყენებდე სიცოცხლეს სიღრმეზე ყვინთვით, ისიც სრული ამოსუნთქვის შემდეგ.

ვოლტერის ავტოგრაფი

ნოვგოროდის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში აღმოაჩინეს ამ წერილის დედანი. რომელიც ვოლტერმა მისწერა ერთ-ერთ მეგობარს — დ'არანტალს. „ანდიდის“ ავტორის წერილი აღმოჩნდა ჩაშენებული ვოლტერის, დიდროსა და ბიუფონის წერილების კრებულში. რომელიც პარიზში გამოვიდა 19 საუკუნის 20-იან წლებში, კრებულში პირველად დაბეჭდილია სწორედ ის წერილი, რომელიც ახლა ნოვგოროდის მუზეუმის საკუთრებაა.

ძნელია იმის დადგენა, თუ რა გზით მოხვდა დიდი ფრანგი განმანათლებლის წერილი ნოვგოროდში. მაგრამ კრებულის ყდაზე წერილი გაკრული ხელით წარწერილია შენიშვნა ფრანგულ ენაზე, რომელიც მოწმობს, რომ წიგნში მოთავსებულია ვოლტერის წერილის ავტოგრაფი. წერილის ნამდვილობას დასტურებენ სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები, სადაც დაცულია ვოლტერის ბიბლიოთეკა. (საკ. ფსის კორ.).

ნოვგოროდი.

გველსაშენი ნაკრძალში

უსურიის ტაიგაში მცხოვრებ გველთა დიდი სერპანტარიუმი — გველსაშენი აშენდა სუძუხის ნაკრძალში, რომელიც იაპონიის ზღვის ნაპირზეა გაშენებული. მის ტერიტორიაზე ბუდობს სხვადასხვა სახეობის გველი, მათ შორის ჩხრიალა-ჯავშნიანი გველების ძალიან შხამიანი წარმომადგენლებიც. ეს სახელი მათ იმიტომ ეწოდათ, რომ თავზე აქვთ დამახასიათებელი რქის ჯავშანი.

ნაკრძალში მომუშავე მეცნიერებს შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ გველების ბიოლოგია პარალელურად ბუნებრივ პირობებსა და გალიებში. ეს საჭირო, რათა შეიმუშაონ გველების ტყვეობაში შენახვის ოპტიმალური რეჟიმი რაც შეიძლება მეტი რაოდენობის სამკურნალო შხამის შეგროვების მიზნით. (საკ. ფსი).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

20 ივლისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — კონცერტი ოვითმოქმედ ანსამბლების, მონაწილეობით, 09.30 — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო კონცერტი, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.15 — „დილა მშვიდობისა“ (მოსკოვი), 11.00 — „პიონერთა დაფიონი“ (მოსკოვი), 11.45 — რ. გაბიჩვაძე, კამერული სიმფონია ცხრა საკრავისათვის, 12.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 12.05 — სსრკ ფერადი მეტალურგიის მინისტრის ბ. ლომაკოს გამოსვლა (მოსკოვი), 12.10 — მუსიკალური რადიოაფიშა, 12.30 — რადიოფურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-საუბარი „რ. გლიერი“, 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. „იყალთოელი ბიჭები, რადიოდადგმა„ 15.00 — მეგობრობის კონცერტი. ტრანსლაცია ბაქოდან, 15.30 — ვ. მაიაკოვსკი. „ლენინი“. ნაწყვეტი პოემიდან, 16.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — მელრის ე. პიესა, 17.30 — მეტალურგიის დღისადმი მიძღვნილი გადაცემა — „ქარხნის ხვალინდელი დღე“, 17.45 — ფრაგმენტები დ. თორაძის ბალეტიდან „გორდა“, 18.10 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.00 — რადიოფილმი „მხოლოდ 24 საათი“, 19.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — ვ. ჯავახიშვილი. „არსენა მარაბდელი“. რადიოდადგმა. ნაწილი მეორე, 21.30 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.50 — გორბულსკისი. ნოჭრიერნი და ჩქარი ცეკვა ოპერეტიდან „ტრფობის ქამი“, 23.30 — ქართული მუსუბუქი მუსიკის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

19 ივლისი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია „ამაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „იყავით ბედნიერნი“ — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ხათანგი“, 12.00 — „მელოდიიდან მელოდიამდე“ — საესტრადო კონცერტი, 12.30 — „რუსთაველ თეატრი“ (17 ივლისის გადაცემის გამეორება), 14.10 — კინოპროგრამა, 14.50 — „ჯანმრთელობა“ სატელევიზიო ჟურნალი (18 ივლისის გადაცემის გამეორება), 15.30 — ეთერშია ახალგაზრდობა — „ჰორიზონტი“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 16.35 — კინოფიშა, 17.05 — ახალი ამბები, 17.10 — კონცერტი ბავშვებისათვის, — 17.40 — ეთერშია ახალგაზრდობა. 1. „ხალხის რჩეულნი“, 2. რედაქციაში წერილი. მოგიდა, 18.15 — კინონარკვევი, 18.30 — მსოფლიო ხელოვნების საგანძური. 19.00 — პოლონეთის კულტურის დღეები საბჭოთა კავშირში „მოსკოვი-ვარშავა“ (გადაცემები ვარშავიდან და მოსკოვიდან) 20.00 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში პოლონეთის ოლიმპიური ნაკრები — საქართველოს „ა“ კლასის გუნდების ნაკრები, 21.15 — საუბარი „ადამიანი იყურობს კოსმოსს“, 21.35 — მხატვრული ფილმი „ხაბერის ფოტო“, 23.00 — პოლონეთის კულტურის დღეები საბჭოთა კავშირში „ცისფერ ეკრანზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

კინო

19 ივლისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ისანი (საზამთრო), გზაფხული, კოლხიდა (საზამთრო), საქართველო, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), სპორტი, ეკრანი, ბათუმი — **დასწარ დარტყმა, ფრედი!**, ოქტომბერი, საქართველო (წითელი დარბაზი), სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (მარჯანიშვილის სახელობის კულტურის სახლი, ბათუმი — **გზად ბერლინისაკენ.**

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ვაკე)
19 ივლისი
ფესტივალი

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა.

პოლონეთი

(ოლიმპიური ნაკრები) — **საქართველო**

(„ა“ კლასის ნაკრები)

დასაწყისი 19 ს. და 30 წ. ბილეთების საერთო გაყიდვა 19 ივლისს დილის 10 საათიდან.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

„კომუნისტი“ | თბილისი. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-02-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99 66 10, განუფოფილებებისა: პარტიული — 99 87 61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93 20 34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93 27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28 54, განცხადებების — 93 93 96.

ჩვენი ვისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 04241 სტ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.